Activus

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა,
შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს

ქალბატონ ეკატერინე ტიკარაძეს

მოგესალმებით ქალბატონო ეკატერინე ,

მივიღეთ თქვენგან წერილი რომელიც შეიცავს ხელოვნური ინტელექტზე დაფუძნებული ტელემედიცინის პირველადი ჯანდაცვის ციფრული დიაგნოსტიკური დანადგარის ტექნიკური მახასიათებლებს.

პირველ რიგში კომპანია "აქტივუსი" გიდასტურებთ დაინტერესებას მიაწოდოს სამინისტროს მაღალი ხარისხის ტელემედიცინის თანამედროვე დანადგარები მსოფლიოს წამყვანი მწარმოებლებისგან.

ამავე დროს, დოკუმენტის გაცნობისას გაგვიჩნდა რამდენიმე კითხვა მოთხოვილი დანადგარის ტექნიკური და ფუნქციური მოთხოვნების მიმართ, კერძოდ:

- თანდართულ ცხრილში მოყვანილი მოწყობილობებიდან ,რომლებიც უნდა უკავშირდებოდნენ „დედა პლატას", რა პროტოკოლით და რა მონაცემებს უნდა გადასცემდნენ ავტომატურ რეჟიმში? როგორც აღწერაშია მითითებული, მხოლოდ ნაწილს მიეწოდებათ კვება „დედა დაფიდან".
- საჭიროა თუ არა ჩამოთვლილი „დამატებითი მოწყობილობების" მოწოდება? თუ კი, როგორი უნდა იყოს მათი ტექნიკური მახასიათებლები
- რას გულისხმობს „სიმაღლის და წონის შკალა" როცა ცალკე არის მითითებული სიმაღლის სენსორი და სასწორი. აღსანიშნავია რომ ამ პუნქტში მოთხოვნილი გამოკვლევის სიზუსტე განსხვავდება სიმაღლის სენსორის და სასწორის სიზუსტის პარამეტრებისგან.
- სიმაღლის სენსორის მოთხოვნაზე არის მინაწერი „შეძენილია აშშ-ში". რას გულისხმობთ ამ ჩანაწერით?
- იდენტიფიკაციის და ავტორიზაციის მეთოდებში რა ტიპის წამკითხავი მოწყობილობების მიერთება არის ნაგულისხმევი?

კითხვებთან ერთად გვინდა აღვნიშნოთ რომ დოკუმენტში ვერ მოვიძიეთ ტელემედიცინის თანამედროვე სისტემებისთვის დამახასიათებელი რამდენიმე მნიშვნელოვანი კომპონენტი, კერძოდ:

ა) თანამედროვე ტელემედიცინა ითვალისწინებს პაციენტის და დაშორებულად განლაგებული ექიმის უშუალო კომუნიკაციისას რისთვისაც გამოიყენება მაღალი ხარისხის ვიდეო კავშირის სისტემები.

სამწუხაროდ ტექნიკურ მოთხოვნებში არ არის გათვალისწინებული ვიდეო კამერები და ასევე არაფერი წერია ვიდეო კავშირის შესახებ (არის მხოლოდ „დედა პლატის" განლაგებული ვიდეო ინტერფეისის აღწერა)

ბ) არ არის მოყვანილი მოთხოვნები ტელემედიცინის პროგრამული უზრუნველყოფის მიმართ. ტელემედიცინის სისტემების ხარისხის ერთ ერთი მთავარი განმსაზღვრელი არის სწორედ რომ პროგრამული უზრუნველყის შესაძლებლობები როგორც პაციენტის მხარეს ასევე დაშორებული განლაგებული ექიმის მხარეს.

თანამედროვე ტელემედიცინის სისტემებს დიაგნოსტიკური მოწყობილობიდან მონაცემების მიღების გარდა, პროგრამულ უზრუნველყოფას საშუალება უნდა ჰქონდეს მოახდინოს გამოსახულების შეყვანა და გაზომვა, მრავალმხრივი ვიდეო კონფერენცია, გამოსახულების ანოტაცია, ვიდეო კამერის დისტანციური მართვა, ვიდეო ჩანაწერების გაკეთება, პაციენტის ვიზიტის ანოტაცია, PACS პაციენტის ელექტრონული ჩანაწერების სისტემიდან ინფორმაციის მიღება და სისტემაში ინფორმაციის ატვირთვა.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება ასევე პროგრამული უზრუნველყოფის მოხმარების სიმარტივეს.

8) მოთხოვნაში არ არის გათვალისწინებული დერმატოლოგიური კვლების ჩატარების შესაძლებლობა

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩვენი ორგანიზაცია დაინტერესებულია ჩვენი წვლილი შევიტანოთ საქართველოს მოსახლეობისთვის სამედიცინო სერვისების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის გაზრდაში, თანამედროვე ტელემედიცინის სისტემების მოწოდება-დანერგვის გზით. მაგრამ ვერ შევძლებთ შემოგთავაზოთ ეფექტური გადაწყვეტა, თუ კარგად ვერ დავინახეთ ის პრობლემები თუ გამოწვევები - რის წინაშეც დღეს ვდგევართ.

მოხარული ვიქნებოდით რომ მოგვცემოდა შესაძლებლობა ფიზიკურად შევხვედროდით და დეტალურად განგვეხილა არსებული საკითხები.

პატივისცემით,

არსენი ბორცვაძე

დირექტორი, შპს აქტივუსი

24 ივნისი 2020 წელი